

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის

### დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში - „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის უნივერსიტეტის სტუდენტების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების წესით არჩეული, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მის უფლებამოსილებას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.
2. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიხედვით 2 წლის ვადით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.
3. ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლიობა არის უნივერსიტეტის თვითმმართველობა, რომელიც შეიმუშავებს თვითმმართველობის დებულებას და ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებებს.
4. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ის არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს. მის ფინანსურ ოპერაციებს წარმართავს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური.
5. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ბეჭედი.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს რაიმე სახით ჩაერიოს ან ზემოქმედება მოახდინოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაზე და მის დამოუკიდებლობაზე.

#### მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

1. დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა.

2. ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.

3. დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში.

4. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა.

5. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო განათლების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას; დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

### **მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება**

1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ე) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოებში;

ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმს (დანართი №1).

2. სტუდენტური თვითმმართველობა, უფლებამოსილია მე-3 მუხლში მითითებული მიზნების განსახორციელებლად მოაწიოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

4. სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია მუდმივი კავშირი საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტურ თვითმმართველობებთან.

#### **მუხლი 4. თვითმმართველობის წევრის უფლებები და მოვალეობები**

1. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- გ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობისა ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
- დ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- ე) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესისი, ეთიკის კოდექსი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- დ) დაესწროს შეხვედრებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით.

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე

შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებით თუ იგი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- გ) გარდაცვალება;
- დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ე) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ვ) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე.

## **მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა**

1. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება მართვის ორგანოებისა და დეპარტამენტებისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;

ბ) პრეზიდენტი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად სტუდენტურ თვითმმართველობაში იქმნება 5 დეპარტამენტი:

ა) განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

გ) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი;

დ) კულტურის დეპარტამენტი;

ე) სპორტის დეპარტამენტი.

## **მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები და სამსახურები**

1. თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად სტუდენტურ თვითმმართველობაში იქმნება 5 დეპარტამენტი:

ა) განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

გ) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი;

დ) კულტურის დეპარტამენტი;

ე) სპორტის დეპარტამენტი;

## **მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება**

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ფაკულტეტებში არჩეული ყველა წევრისაგან.

2. უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ასარჩევი სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 1/3-ზე ნაკლები. ზუსტ

რაოდენობას არჩევნებამდე ერთი თვით ადრე განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომა:

ა) იკრიბება ყოველი თვის პირველ კვირის განმავლობაში, სასწავლო წლის მანძილზე, რიგ გარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს, საერთო კრების წევრთა 1\3-ს და პრეზიდენტს.

ბ) სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით

გ) განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის წლის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს წლის განმავლობაში.

დ) განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები.

ე) საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი კომისიები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვისთანავე.

4. შეიმუშავებს დეპარტამენტის მუშაობის საერთო პოლიტიკას, ისმენს დეპარტამენტის თავმჯდომარეების ანგარიშს და წარადგენს წინადადებებს კონკრეტული დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე.

5. შუამდგომლობს სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

6. ეწევა საქმიანობას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

7. შეიმუშავებს და უნივერსიტეტის წამომადგენლობით საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

8. შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ სხვა დებულებებს, გარდა სტუდენტური თვითმმართველობის დებულებისა.

9. უფლებამოსილია შექმნას საარჩევნო კომისია.

10. ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

11. თვითმმართველობის საერთო კრების მუშაობას უძღვება თავმჯდომარე.

12. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თვითმმართველობის წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება თუ არასაპატიო მიზეზით სისტემატურად აცდენს თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მხარს დაუჭერს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

## მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრი, ნებისმიერი კურსის სტუდენტი, რომელიც არ არის ნასამართლევნი და არ უკავია უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობა.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის

დასახელების უფლება აქვს საერთო კრების წევრთა სრული შემადგენლობის 1/5 - ს, ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ მინიმუმ 50 სტუდენტის ხელმოწერას.

3. პრეზიდენტს ფარული კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს საერთო კრება.

4. პრეზიდენტი არჩეულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საერთო კრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. გამარჯვებულად ითლება ის კანდიდატი ვინც მეორე ტურში დააგროვებს ხმათა უმრავლესობას.

6. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა ორი წლის ვადით.

7. მომავალი არჩევნების ჩატარების პროცედურას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია, რომლის ჩამოყალიბებაც ახორციელებს თვითმმართველობის საერთო კრება.

8. პრეზიდენტი:

ა) წარმოადგენს თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე;

ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;

გ) იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას;

დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;

ე) ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს, დეპარტამენტების თავმჯდომარეებს და ახორციელებს მათ საქმიანობაზე კონტროლს;

ვ) პრეზიდენტის არ ყოფნის (ავადმყოფობა, საზღვარგარეთ ყოფნა და ა.შ) შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი;

5. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ქმედითუუნაროდ გამოცხადების ან უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში;

გ) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

დ) გარდაცვალება.

9. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ, ვადაზე ადრე თანამდებობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე პრეზიდენტი, ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ვალდებულია ახალი არჩევნები დანიშნოს, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვეში.

10. სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო კომისია ვალდებულია საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატაროს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 45 დღეში.

## **მუხლი 9. სტუდენტური დეპარტამენტის ფუნქციები და თავმჯდომარეები**

1. სპორტის დეპარტამენტი:

სპორტის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებული არიან ორგანიზება გაუკეთონ და მოაწყონ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები რომლებიც უკავშირდება სპორტის სფეროს (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ფრენბურთი, ხელბურთი ჭადრაკი და ა.შ).

2. კულტურის დეპარტამენტი:

კულტურის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებული არიან ორგანიზება გაუკეთონ და მოაწყონ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება კულტურის სფეროს (გამოფენა, თეატრალური დადგმა, სიმღერის ან ცეკვის კონკურსი და ა.შ).

3. სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი:

ა) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებული არიან უნივერსიტეტიში არსებული ფაკულტეტების სტუდენტებთან აწარმოონ მუდმივი კონსულტაციები და ხელი შეუწყონ მათი ცნობადობის ამაღლებას სტუდენტის უფლებების შესახებ;

ბ) სტუდენტის უფლებების დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრები ვალდებული არიან მიმართონ შესაბამის სამსახურებს ან ინფორმაცია მიაწოდონ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, საერთო კრების თავმჯდომარესა და დეპარტამენტების თავმჯდომარეს, რომლების თავის მხრივ განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, პრეზიდენტი, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის და სხვა დეპარტამენტების თავმჯდომარეები, თავის მხრივ ვალდებული არიან სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მაქსიმალურად სწრაფი რეაგირება მოახდინონ და ოფიციალურად მიმართონ, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანს, იურიდიულ სამსახურს ან სასამართლოს (საჭიროების შემთხვევაში);

დ) დეპარტამენტი ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი სტუდენტის განცხადება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

#### 4. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი:

განათლების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებული არიან ორგანიზება გაუკეთონ და მოაწიონ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება განათლების (საჯარო ლექცია, ტრენინგები, დებატები, წიგნის პრეზენტაციები ინტელექტუალური თამაშები და ა.შ).

#### 5. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებული არიან აუმაღლონ სტუდენტებს ცნობადობა სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ. დაგეგმონ და განახორციელონ შეხვედრები სტუდენტებთან, გააცნონ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა. უზრუნველყონ სტუდენტთა ჩართულობა და მობილიზება კონკრეტულ ღონისძიებებზე. წარმოადგინონ სტუდენტური თვითმმართველობა სატელევიზიო თუ საგაზეთო სიუჟეტებში. აქტიურად მართონ სტუდენტური თვითმმართველობის სოციალური გვერდები.

6. დეპარტამენტების თავმჯდომარეებს 1 წლის ვადით ნიშნავს თვითმმართველობის პრეზიდენტი და ხელმძღვანელობს მათ.

### **მუხლი 10. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები**

თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:



- ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული ფიქსირებული შემოსავალი;
- ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
- გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება;
- დ) დონორებისგან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი;
- ე) ქალაქის მერიისგან და ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსული თანხები.

### **მუხლი 11. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა**

გამჭვირვალობის იდეალური დონის უზრუნველსაყოფად თვითმმართველობა ვალდებულია ყოველთვიურად მოახდინოს იმ წინა გახარჯული თანხის აუდიტი და გახარჯული თანხის აღრიცხვა.

### **მუხლი 12. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი**

დებულებას შეიმუშავენ სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს თვითმმართველობის პრეზიტენტის მიერ.

### **მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით მოქმედი ყველა დებულება.